გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 102
(11 661)

31 დეკემბერი – 6 იანვარი, 2003 წ.    ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნომერში წაიკითხავთ:**

- 2 იანვარს ნოდარ ახალკაცი 65 წლისა გახდებოდა
- სეოკ-ი მეტოქეების შესწავლისკენ მოუწოდებს მწვრთნელებს
- მურთაზ ხურცილავა 60 წლისაა
- ცვლილებები „სპარტაკ-ალანიაში“
- ბუბკა პოლიტიკოსია
- გასქოინი საავადმყოფოში აღმოჩნდა
- საახალწლო კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

**გილოცავთ ახალ წელს!**

## საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციული გამოკითხვის შედეგები


ელდარ კურტანიძე

# 2002 წლის ლაურეატები

გამოკითხვა სხვადასხვანაირია დონით, ხარისხით, პრინციპით და ა.შ. მაგრამ ჟურნალისტთა რეფერენდუმი წლის საუკეთესო სპორტსმენთა გამოსავლენად ყველაზე პოპულარულად ითვლება. ჩვენში სპორტულ ჟურნალისტთა ეს ტრადიციული ღონისძიება, რომელიც ტრადიციულია, სათავეს იღებს 1964 წლიდან და მისი თვალის ერთი გადავლებაც უკვე სიამაყეს ჰგვრის ადამიანს, იმდენ ნაცნობ და სათაყვანებელ სპორტსმენს ამოიკითხავს სიებში.

კარგა ხანია ისეთი წელგამართული არ წარმდგარა ჩვენი სპორტული სამყარო საზოგადოებრიობის წინაშე, როგორც წლეულს. ჟურნალისტები ერთდროულად რთული ამოცანის და ამავე დროს ღირსეულთა არჩევანის წინაშე იდგნენ. პირველი სამეულის და, საერთოდ, ათეულის გამოვლენა ნამდვილად არ იწვევდა არანაირ ეჭვს, შედეგები და მისი დონე იმდენად გამოკვეთილი იყო. აი, წლის საუკეთესო გუნდის გამოვლენამ კი ცოტა უხერხულობაში ჩააგდო ჟურნალისტები. „ორი ელვარე ხმალი“ როგორ გინდა ჩააგო ერთ ქარქაშში. არადა, რაგბიცა და ძიუდოც იმსახურებდა უმაღლეს პატივს. გამოსავალი გამოინახა – ორივე პირველობის ღირსია! ასეთი იყო გამოკითხულთა ნება. ეს კი თავისთავად იყო უნიკალური შემთხვევა – გამარჯვებული ერთბაშად ორი გუნდია!

მაშ ასე, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციული გამოკითხვით დასახელდა 2002 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი, მწვრთნელი და გუნდები.


კლოდ სორელი

**საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენი:**

1. ელდარ კურტანიძე (თავ. ჭიდაობა) – 535 ქ.
2. გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) – 484
3. ბადრი ხასაია (ბ-რ ჭიდაობა) – 352
4. ნინო სალუქვაძე (ტყვ. სროლა) – 279
5. ლევან ცაბაძე (რაგბი) – 208
6. კახი კალაძე (ფეხბურთი) – 190
7. მანუჩარ კვირკველია (ბ-რ ჭიდაობა) – 169
8. აკაკი ხანიშვილი (სამბო) – 142
9. ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) – 130
10 დავით ქევხიშვილი (ძიუდო) – 90.

**წლის საუკეთესო მწვრთნელად,** ისევე როგორც შარშან, დასახელდა მორაგბეთა დამრიგებელი, ფრანგი სპეციალისტი კლოდ სორელი.

**წლის საუკეთესო გუნდები:** რაგბი, ძიუდო.

უდავოდ მისასალმებელია, რომ სპორტული წლის შედეგების შეჯამებისას ჟურნალისტებსაც არ ივიწყებენ. ეს კარგი ტრადიცია, რაც დრო გადის, უფრო შთამბეჭდავი ხდება.

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ვეტერანი „ლელოელის“ ნოდარ გუგუშვილის უკვე ტრადიციად ქცეული პრემია მიანიჭა ასევე ყოფილ „ლელოელს“ ამჟამად გაზეთ ოლიმპის ჟურნალისტს დავით ჭელიძეს.

ტელეკომპანია „იბერია“ ჯგუფმა თავის მხრივ დაასახელა წლის საუკეთესო ჟურნალისტი და ეს პატივი წილად ხვდა „რუსთავი-2“-ის სპორტულ მიმომხილველს ზურაბ უსუფაშვილს. შეგახსენებთ, რომ ზურაბი ახლახან სეოკ-მაც აღიარა წლის საუკეთესო ჟურნალისტად.

ვულოცავთ ყველას!


გიორგი ასანიძე


ბადრი ხასაია


ნინო სალუქვაძე


ლევან ცაბაძე


კახი კალაძე


მანუჩარ კვირკველია


აკაკი ხანიშვილი


ზურაბ ზვიადაური


დავით ქევხიშვილი


მორაგბეთა ნაკრები


ძიუდოისტთა ნაკრები

## სპორტის სასახლე ლაურეატია

ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნულ სახელმწიფოებრივი ძლევამოსილების განმტკიცების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის 2001 წლის ღია კონკურსის შეჯამების შედეგად, საქართველოს პრეზიდენტის დიპლომით დაჯილდოვდა შპს „სპორტის სასახლე“, როგორც ეროვნული მეურნეობის მეწინავე.




ქართველი დიდოსტატი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი დაჯილდოვდა დიპლომით „თბილისელების სიამაყე“. გულითადად ვულოცავთ ქალბატონ ნონას ამ ჯილდოს.

**დეპარტამენტის საბჭოს სხდომის გამოძახილი**

## როცა ბიუჯეტის ფულთან ურთიერთობა ღირსების საქმეა!

ბიუჯეტი სახელმწიფოს ფინანსური კანონია და ამდენად ყველასთვისაც, სადაც ეს თანხა მიდის. ცხადია, იგივე ითქმის სპორტზე. სხვის საქმეში არ ვიხედებით, მაგრამ სპორტის სფეროში, მისი ხელმძღვანელობისგან ჯერ კიდევ საფინანსო წლის დასაწყისიდანვე (მანამდეც) გვესმის, რომ საბიუჯეტო თანხების ხარჯვას ყველა მოეკიდოს პასუხისმგებლობით. რატომ სჭირდება მავანს ამის შეხსენება? სიფრთხილეს, გონიერებას, გამოცდილება აიძულებს. ე.ი. იყო დარღვევები, რისი მოსმენაც კონტროლის პალატაში განხილვაზე, არავისთვის არ არის სასიამოვნო, მით უფრო, როცა საქმე ეხება ისეთ პოპულარულ და ავტორიტეტულ სფეროს, როგორიც სპორტია.

სპორტის დეპარტამენტმა დადებული პირობა შეასრულა და წლის ბოლოს საბჭოს სხდომაზე „2002 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის“ საკითხიც განიხილა.

ბიუჯეტზე დამოკიდებულ ორგანიზაციებს 2002 წელს ფინანსთა სამინისტრომ დაფინანსების ახალი წესის დამკვიდრებას ახალი მოთხოვნები მიაყოლა: ორგანიზაციებში კომისიების შექმნა, რომლებიც თანხების მიზნობრივ და რაციონალურ ხარჯვას გადაამოწმებდა. სპორტის დეპარტამენტში თავმჯდომარის მოადგილის დ. გობეჯიშვილის თავკაცობით შექმნილ კომისიას დაევალა ეს ფუნქცია.

იმ სხდომაზე, დავით გობეჯიშვილი, რომელსაც მეგონა კარგად ვიცნობდი, ახალი კუთხით წარმოჩინდა – პრინციპულობა კეთილი მიდგომით – აი, რა დავინახეთ! ეს კი მწარედ ნათქვამზე უფრო დამამუნათებელი იყო, ალბათ, მათთვისაც, ვისაც დავითი მისეულ კეთილ კრიტიკაში გულისხმობდა. უთუოდ, გამგები გაიგებს, თუ არა, წესრიგის ადმინისტრირების წესით დამყარებაც შეიძლება. თქვენ წარმოიდგინეთ, იქამდეც კი – ამა თუ იმ ფედერაციას შეუწყდეს კიდეც დაფინანსება.

ჩამოვთვლით ზოგიერთ თავჩენილ და პრაქტიკაში დანერგილ დარღვევებს: საქვეანგარიშო პირებად ფედერაციების პრეზიდენტები ინიშნებიან, რომელთა მიმართ ვერ იჩენენ სათანადო პრინციპულობას ბუღალტრები, რაც საბოლოო ჯამში დარღვევებისადმი წაყრუებით და არასრულფასოვანი ანგარიშების ჩაბარებით მთავრდება; ანგარიშებში არ ასახავენ ტექნიკურ შედეგებს, ღონისძიების მიზანს, ანდა, რა იგეგმებოდა და რამდენად გამართლდა ხარჯები, რა დასკვნები გაკეთდა და ა.შ. ხშირ შემთხვევაში არ იშიფრება თანხების ხარჯვითი ნაწილი, დოკუმენტებს არ ახლავს საერთაშორისო შეჯიბრებებზე მიწვევის ქართული თარგმანი, ამდენად გაურკვეველი რჩება მიწვეულთა მიღების პირობები; გარდა იშვიათი გამონაკლისისა, არც ერთ ორგანიზაციაში არ იწარმოება დოკუმენტაცია (ბრძანებები და ა.შ.) დადგენილი წესით... აი, ასეთი და სხვა დარღვევების გამოსწორებაზე მრავალგზის მიუთითებენ ხოლმე კომისიის წევრები გულარხეინებს. ბევრმა გადამოწმების პროცესში გამოასწორა შეცდომები... ზოგიერთს ფული აქვს გატანილი და ხარჯის დამადასტურებელი საბუთების წარდგენას კი თავს არიდებს. ეს უკვე სამართლებრივი დანაშაულია...

საბჭოს სხდომაზე, ფედერაციების მიერ ბიუჯეტის სახსრების ხარჯვა, ბრძანების პროექტში დამაკმაყოფილებლად იყო შეფასებული, მაგრამ ირაკლი მეძმარიაშვილის წინადადებით ამ სიტყვას წინ „არა“ დაემატა.

ყოველ 6 თვეში ერთხელ კომისია დეპარტამენტიდან გადარიცხული თანხების მიზანმიმართულად ხარჯვას გადაამოწმებს, შედეგები კი საბჭოს სხდომას მოხსენდება.

თ. თომაშვილი

*(გაგრძელება იქნება)*

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 7 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 1 თვე გვაშორებს

# სეოკ-ის ყოველწლიური საანგარიშო სესია

**უფრო დაწვრილებით**

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, როგორც ვიუწყებოდით, მისთვის ჩვეულ მაღალ დონეზე ჩაატარა ყოველწლიური ტრადიციული საანგარიშო სესია. ბოლო წლებში ეს ღონისძიება სასტუმრო „შერატონ მეტეხ პალასში" ტარდება, რაც იმითაცაა შთამბეჭდავი, რომ წლის შედეგების შეჯამებასთან ერთად სეოკ-ი ასახელებს თავის 10 რჩეულ სპორტსმენს, წლის სხვა ლაურეატებს, ჯეროვან პატივს მიაგებს ყველას, ვინც თავისი საქმიანობით განსაკუთრებით შეუწყო ხელი ოლიმპიზმის პროპაგანდას საქართველოში.



მთავარი მოხსენებით სესიაზე სეოკ-ის პრეზიდენტი ***განო ბაგრატიონი*** წარსდგა. დღეს შევეხებით ძირითად საკითხებს, რომელზედაც განსაკუთრებით გაამახვილა მომხსენებელმა ყურადღება.

● ***2002 წელს*** სპორტის ოლიმპიურ სახეობებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებულია 16 მედალი. მსოფლიო ჩემპიონატებში მოხვეჭილი 5 მედლიდან ოქროსია — ერთი, ვერცხლისა — სამი, ბრინჯაოსი — ერთი. კონტინენტალური პირველობების 10 მედლიდან კი ორი ოქროსია, ოთხ-ოთხი — ვერცხლისა და ბრინჯაოსი.

მსოფლიოს თასი — ერთი პირველი ადგილი, მსოფლიო და ევროპის გუნდური პირველობები, ორი მეორე ადგილი, ამავე დონეზე ბრწყინვალედ იასპარეზეს ახალგაზრდებმა.

● ***პირველმა*** ათენისათვის ოლიმპიური საგზური საქართველოდან მოიპოვა ნინო სალუქვაძემ. 2002 წელს მან დაიმსახურა მსოფლიოს თასი, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი მეორე იყო.

წლის გმირებთან — ელდარ კურტანიძესთან და გიორგი ასანიძესთან ერთად, წარმატებებით თავი გამოიჩინეს ბადრი ხასაიამ და მანუჩარ კვირკველიამ, დავით ოთიაშვილმა და რევაზ მინდორაშვილმა, დავით მარგოშვილმა და ნესტორ ხერგიანმა, ზურაბ ზვიადაურმა და კონსტანტინე კუპატაძემ.

● ***შეიძლება*** ითქვას, რომ წინასაოლიმპიადო პირველმა ეტაპმა წარმატებით ჩაიარა. ახალი წლიდან იწყება ახალი ეტაპი — ბრძოლა ლიცენზიებისთვის. 2003 წლისათვის პროგნოზირებადი 35-40 საგზურიდან 70-80 პროცენტის რეალურად მოპოვება იგეგმება. ამავე პერიოდში დიდი ადგილი დაეთმობა სავარაუდო მეტოქეთა შესწავლას. ეს ძალზე მნიშვნელოვანია. იაპონიამ, მაგალითად, სეოკ-ი, როგორც იტყვიან, აიკლო ფაქსების სიუხვით და ერთადერთი თხოვნით: მათ ხარჯზე მიევლინათ ტოკიოში საასპარეზოდ ჩვენი პერსპექტიული და მათთვის ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობი ზვიად ხანჯალიაშვილი.

● ***ეიფორიაში*** არ უნდა ჩავარდეთ. ოლიმპიადამდე მოპოვებული წარმატებები ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი ათენშიც იქნება გარანტირებული. სახელმწიფოს სრულმა მხარდაჭერამ უნდა შეგვაძლებინოს 2004 წლის თამაშებში, ბოლო ათწლეულში, ესოდენ ნანატრი „ოქროს" მოპოვება.

● ***დღემდე*** სპორტსმენები და მწვრთნელები განიცდიან ფინანსების, კეთილმოწყობილი ბაზების, ინვენტარის, ფარმაკოლოგიური პრეპარატების, შეჯიბრებებისა და შეკრებების მწვავე დეფიციტს. სპორტის იმ 15 სახეობიდან, რომელშიაც ვემზადებით ოლიმპიადისთვის, [illegible] საქართველოში მზადების ელემენტარული პირობები, დანარჩენი ოთხიც ძალზე შორსაა საშუალო ევროპული დონისგან. გასაკვირია, მაგრამ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე, ჩვენი ათლეტები, ჯერ კიდევ სიდნეის ოლიმპიური თამაშებისდროინდელი ფორმა-ამუნიციით გამოდიან.

● ***ბიუჯეტიდან*** გამოყოფილი 0,3 პროცენტის მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება ქაღალდზე, რაც სახელმწიფოს გულისხმიერ დამოკიდებულებაზე სპორტისადმი სულაც არ მეტყველებს. ვთხოვთ საქართველოს პარლამენტს, ბიუჯეტიდან გამოყოს პროცენტულად ფიქსირებული თანხა. 2003 წლისთვის ის შეიძლება იყოს ბიუჯეტის 1 პროცენტი, რაც შემდგომში პროპორციულად გაიზრდება ბიუჯეტის ზრდასთან ერთად. მეორეს მხრივ უნდა შეიქმნას ისეთი ეკონომიკური პირობები, როცა კაპიტალი ფეხს მოიკიდებს სპორტში. უნდა შეივსოს ამ მხრივ სრული საკანონმდებლო ვაკუუმი. ბიზნესად სპორტის, მეტიც, შოუ-ბიზნესად მის გადაქცევაში ჩვენი ქვეყანა უიმედოდ ჩამორჩება.

● ***სოლტ ლეიკ სიტში*** გამართული ზამთრის ოლიმპიადა მესამე იყო დამოუკიდებელი საქართველოსთვის, რაზედაც სესია ცალკე ანგარიშს მოისმენს.

● ***სეოკ-ის*** აღმასკომის გადაწყვეტილებით, ათენისთვის უკეთ მოსამზადებლად შეიქმნა მეცნიერების, ექიმების, კონსულტანტების კომპლექსური ჯგუფი. დაიდო ხელშეკრულებები სამედიცინო ცენტრებთან („ნეკო" და „გიო"), აგრეთვე კვლევით ინსტიტუტებთან, მჭიდრო კონტაქტებია სამედიცინო უნივერსიტეტის შესაბამის კათედრასთან, თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრთან, სპორტული მედიცინის ასოციაციასთან. ფიზაღზრდის და სპორტის აკადემიის ბაზაზე შეიქმნა მეცნიერ-კონსულტანტთა ჯგუფი, რომელიც შეუდგა ნაყოფიერ პრაქტიკულ საქმიანობას. ინერგება სხვა სიახლეები.

● ***ფარმაცევტულ*** ფირმა „ჯი-პი-სიმ" ხელშეკრულების საფუძველზე და ოლიმპიური ფონდის დაფინანსებით დაიწყო სპორტსმენთა ფარმაკოლოგიური მომსახურება.

*(გაგრძელება იქნება)*

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

**აკადემია და სპეციალიზაცია**

# საჭადრაკო მწვრთნელთა ქურა

**25 წელია, საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიაში არსებობს ჭადრაკის სპეციალიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა მომზადებას. სპეციალიზაციას ხელმძღვანელობს ჭადრაკის სამყაროში კარგად ცნობილი თენგიზ გიორგაძე, რომელმაც ჩვენთან საუბარში გაიხსენა:**



თენგიზ გიორგაძე

„1966 წელს, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტში, ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, პირველად ჩამოყალიბდა ჭადრაკის სპეციალიზაციის კათედრა. ეს იდეა მიხეილ ბოტვინიკს ეკუთვნოდა, რომელმაც სთხოვა თავის მეგობარს გრიგოლ გოლდბერგს, სათავეში ჩადგომოდა ზემოხსენებულ კათედრას.

1972 წელს, მოსკოვში ჩასულს მითხრეს: რატომ არ ფიქრობთ მსგავსი სპეციალიზაციის კათედრის გახსნას თბილისშიო. ამ ნათქვამისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ როცა 3 წლის შემდეგ ეს საკითხი კიდევ შემახსენეს, სერიოზულად დავფიქრდი და 1977 წელს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგესთან გიგლა გაჩეჩილაძესთან ერთად, შევაღე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მაშინდელი რექტორის არჩილ მელიას კაბინეტის კარი. ჩემს წინადადებას რექტორი მაშინვე დაეთანხმა..."

ბატონი თენგიზი სათავეში ჩაუდგა ამ მართლაცდა საშვილიშვილო საქმეს. 80-იანი წლების გარკვეული პერიოდი „ლელოს" დამატება გაზეთ „მერანში" მოღვაწეობდა, თუმცა 1987 წლიდან კვლავ დაუბრუნდა ჭადრაკის სპეციალიზაციას და დღესაც დაუზოგავად ემსახურება ამ საქმეს.

სხვათა შორის, ჭადრაკის სპეციალიზაციის, პირველი გამოშვება (1981 წ) იყვნენ დიდოსტატი, ამჟამად ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი, ლელა თანდაშ-

*(იხ. მე-3 გვ.)*

# ყველა – „თელა" და სხვები

**საქართველოს თასის 2002 წლის გათამაშება სპორტულ ცეკვებში ● მუშტაიდი. „თელას" საცეკვაო დარბაზი**

2 1 3
კვარცხლბეკი

***ბავშვთა უმცროსი ასაკი (3 ცეკვა).*** 1. ლუკა ხუციბერიძე — ადრიანა ჭილლაძე („ელეგია", თბ), 2. გიორგი ბუხაიძე — ანა გაბრიაძე („ელიტა", ქუთ), 3. გიორგი მერაბიშვილი — მარიკა ლომიძე („მარცო", რუსთ). ***ბავშვთა უფროსი ასაკი. (4 ცეკვა):*** 1. ზვიად დევდარიანი — ლიკა თოფურია („თელა", თბ), 2. იმედა კვირიკაშვილი — თამუნა კილაძე („ელიტა", ქუთ), 3. დათო ხარძიანი — ლია ბოჩიკაშვილი („ვარკეთილი", თბ). ***იუვინალი — 1 (8 ცეკვა):*** 1. გიორგი ტყეშელაშვილი — თათია ქუთათელაძე, 2. დემნა სიზაშვილი — ლიკა კაკალაშვილი, 3. ნიკა ჩეჩელაშვილი — ნინო ზექალაშვილი (ყველა — „თელა"). ***იუვინალი — 2 (8 ცეკვა):*** 1. ლევან მურადოვი — ირინა ბაქანიძე („თელა"), 2. ნიკა გაბლიშვილი — ნინო კბილცეცხლაშვილი („ელეგია), 3. ლევან მურატოვი — თეოლა ავლოხაშვილი („თელა"). ***ახალგაზრდები (8 ცეკვა):*** 1. ლევან ნარიმანია — სოფო ყანჩაველი („თელა"), 2. თენგიზ გელაშვილი — ვერიკო ბაინდურაშვილი („სიხარული", ახალც), 3. კარენ ხაჩატურიანი — თინიკო ცხოვრებაძე („ელეგია"). ***იუვინალი — 1 (9 ცეკვა):*** 1. ირაკლი გოლოძე — ქეთი ალავერდაშვილი, 2. ლაშა ჯინჭარაძე — ქეთი კობახიძე (ორივე წყვილი. „თელა"), 3. არჩილ მაისურაძე — ნანა ლუაშვილი („ელეგია"). ***იუვინალი — 2 (10 ცეკვა):*** 1. რატი გაჩეჩილაძე — სანია გამიდოვა („თელა"), 2. ლევან ხოჭოლავა — ნინო გელაშვილი („ელეგია"), 3. კახი სანიკიძე — ნინო ზედაშიძე („თელა"). ***ჯგუფი პერსპექტივა (8 ცეკვა):*** 1. ლევან ნარიმანიძე — ინგა კბილცეცხლაშვილი, 2. ჯაბა გაჩავა — თინა ქრისტესაშვილი, 3. ნიკა გაჩავა — ნინო ფეიქრიშვილი (ყველა — „თელა"). ***იუნიორი — 1 (10 ცეკვა):*** 1. რატი გაჩეჩილაძე — სანია გამიდოვა, 2. ბერდია მზარეულიშვილი — ანა სუხოვეი, 3. ჯაბა გაჩავა — ნინო ნიჟარაძე (ყველა — „თელა"). ***16 წლის ზევით (10 ცეკვა):*** 1. დათო კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი, 2. ზურაბ კიკაბიძე — თინიკო გარეგავა, 3. მანუჩარ მანჯავიძე — ლაურა ქველიძე (ყველა — „თელა"). ***ცეკვა „სალხა":*** 1. დეა ტაბატაძე, 2. ელენე ძაგანია, 3. მარიამ ტაბატაძე (ყველა —„ბლექპული"), ***თბ. ცეკვა „მამბო":*** 1. მარიკა გველესიანი, 2. ნათია კოჭუაშვილი, 3. ელისო გოგოხია („ბლექპული", თბ). ***გოგონების ჯგუფი (8 ცეკვა):*** 1. ანა კალმახელიძე — თიკო მეტრეველი, 2. თათია სამხარაძე — მაგდა კორობაშვილი, 3. თეონა მატახერია — ნათია თეთრაძე („თელა", თბ). ***ხაჩვენებელი ანსამბლი. „მარცო", რუსთავი*** (ხელმძღვანელები, ანზორ და მადონა ბლიაძეები.



ფოტოები რობერტ ბაგოიანისა





# საჭადრაკო მწვრთნელთა ჭურა

(მეორე გვერდიდან)

ვილი, იგორ ეფიმოვი.

1982-85 წლებში სპეციალიზაციის მასწავლებლად მუშაობდნენ დიდოსტატი ედუარდ გუფელდი, ოსტატები იური ჩიქოვანი, დავით ჯანოევი, ირაკლი ცქიტიშვილი, მერაბ თხელიძე, ლელა თანდაშვილი. 1989-1993 წლებში, უფროს მასწავლებლად საჭადრაკო კომპოზიციის დიდოსტატი დავით გურგენიძე იყო. ჭადრაკის სპეციალიზაციაზე ლექციები წაუკითხავთ დიდოსტატ დავით ბრონშტეინს და საერთაშორისო ოსტატს იაკობ ესტრინს, ეს უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონი იყო ჭადრაკის მიმოწერით თამაშში და მოსკოვის ფიზკულტურის ჭადრაკის სპეციალიზაციასაც ხელმძღვანელობდა.

საერთოდ, სპეციალიზაციაზე სწავლა 4 წლის განმავლობაში გრძელდება. მეცადინეობები, ბატონი თენგიზ გიორგაძის თქმით, ძველი საბჭოური, მაგრამ საკმაოდ კარგი პროგრამით მიმდინარეობს. ბოლო პერიოდში სპეციალიზაციის დისციპლინებს დაემატა ორი მეტად საინტერესო საგანი: „საქართველოს ჭადრაკის ისტორია“ და „ტურნირების ორგანიზაცია და მსაჯობა“. ეს უკანასკნელი თურმე მოსკოველებს ძალზე მოსწონებიათ და თავიანთი ფიზკულტურის ინსტიტუტის პროგრამაშიც შეუტანიათ.

ჭადრაკის სპეციალიზაციის წარმომადგენლებს არაერთხელ უსახელებიათ თავი საბჭოთა კავშირის მასშტაბითა თუ საერთაშორისო სარბიელზე. პირველი მათგანი იყო ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელმაც 1978 წელს, ჰოლანდიაში, ჭაბუკთა ევროპის პირველობის ვერცხლის მედალი მოიპოვა. ორი წლის შემდეგ სპეციალიზაციის სტუდენტთა პირველი ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს ბესარიონ ხეცურიანმა და გოჩა ტყეშელაშვილმა.

სპეციალიზაციის ნაკრებ გუნდსაც ხშირად უასპარეზია სხვადასხვა მატჩებში და არცთუ ურიგოდ. ყოფილა სხვა წარმატებებიც, რომელთა ჩამოთვლაც საკმაოდ შორს წაგვიყვანდა. ერთი რამ მთავარია, სპეციალიზაციის 75-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა მაღალკვალიფიციური მწვრთნელის დიპლომი მიიღო. სხვათა შორის, სამ მათგანს, ნოდარ გელენავას, გოჩა ტყეშელაშვილს და გიორგი ხომერიკს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს. კიდევ მოდის ახალი ნიჭიერი თაობა, ამის დასტურია ამ ცოტა ხნის წინათ ჭადრაკის სპეციალიზაციის დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელზედაც სტუდენტებმა ბევრი იმდენად საინტერესო თემა წარმოადგინეს, რომ საქართველოს ფიზაღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორმა, პროფესორმა ომარ გოგიაშვილმა თემების ცალკე წიგნად გამოცემის უფლება მიანიჭა სპეციალიზაციის ხელმძღვანელობას. მოკლედ რომ ვთქვათ, ჭადრაკის სპეციალიზაცია საკმაოდ საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს და ილვწის, რათა მომავალში ქართულმა ჭადრაკმა ახალი მწვერვალები დაიპყროს.

**თენგიზ ჩოგანიძე**

# ვაჟა ჩხაიძეს სფფ-ს პრეზიდენტობა არ გადაუწყვეტია

## ანუ წინ, ანდრო ჟორდანიასაკენ!

„წინ ანდროსკენ!“ — ასე გამოიყურება დღეს ვაჟა ჩხაიძის კონცეფცია. „მეოცე საუკუნის ბოლოს დასავლეთის ფილოსოფიურმა ცნობიერებამ აღიარა, რომ ევოლუციური ინტეგრაციის ეპოქაში ლიბერალურმა დემოკრატიამ მარადიული სახელმწიფოებრივი ტრიადიდან (პოლიტიკა — კულტურა — ეკონომიკა) ამოაგდო შუა წევრი, კულტურა. აქედან: გასაშუალოება, ერთფეროვნება, კულტურის ცოცხალი აღქმის უუნარობა, უპასუხისმგებლობა, ფსევდოთავისუფლების პრინციპით ამორალური თავის მართლება. იგივე ხდება ფეხბურთშიც“, — ამ სიტყვებით იწყება ვაჟა ჩხაიძის მიმართვა.

ვაჟა ჩხაიძე: „ანდრო ჟორდანიამ შექმნა ქართული ფეხბურთი“. ამ თამაშს ქმნის ტრიადა: მწვრთნელი — ფეხბურთელი — გულშემატკივარი, და არა რომელიმე ერთი, ან თუნდაც ორი მათგანი. ანდროსეული გარემო უნდა ქვევრობდეს ბავშვთა ფეხბურთში! ანდროსეული იდუმალება უნდა ღვინობდეს ქართულ ფეხბურთში! ანდროსეული თამაში უნდა ლხინობდეს მთელ საქართველოში! მჯერა, ამ შობის დღეებში განსაკუთრებული გულისძგერით აჟღერდება რუსთაველის სტრიქონი: „დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაპერწკალი“.

ვიდრე მე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ბრძოლაში არ გავიმარჯვებ, ამ დრომდე მე ფეხბურთის განვითარების ჩემს კონცეფციას არ გამოვაქვეყნებ. საერთოდ, ჩემი პროგრამა მიმართულია ფეხბურთის გლობალიზაციის წინააღმდეგ, ჩემი იდეა მარტივია — საქართველო უნდა იყოს ერთი და განუყოფელი, მაგრამ — მრავალფეროვანი. ბავშვთა ფეხბურთი არ არის პრიორიტეტული ჩემს კონცეფციაში, იგი არის ერთ-ერთი ნაწილი ქართული ფეხბურთისა.

ნოდარ ახალკაცი იყო მოსავლის ამღები, ანდრო ჟორდანია კი მთესველი, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე საკუთარი სისხლით და ხორცით შეძლო ჩვენი ფეხბურთის განვითარება.

ყოვლად შეუძლებელია საფეხბურთო კლუბი, მაგალითად, თბილისის „დინამო“ შსს-ს საკუთრება იყოს. გერმანიაშიც კი, სადაც ბიუროკრატია ჰყავის, საზოგადოებრივმა კლუბებმა კერძო სტრუქტურებში იწყეს გადასვლა.

რაც შეეხება გიორგი ქინქლაძეს, თავის დროზე ვაიგულშემატკივრებმა, იგი სიზარმაცეში დაადანაშაულეს. ეს არ არის მართალი. არც ის არის სწორი, რომ ჟურნალისტებმა ზედმეტი ქებით ქინქლაძე ეიფორიაში ჩააგდეს.

გიორგის უდიდესი მონაცემები ჰქონდა. როდესაც იგი „სიტიში“ გაემგზავრა, ვუთხარი, რომ ინგლისელები ყველანაირად შეეცდებიან მის ჩარჩოში ჩასმას, მართლაც ასე მოხდა. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდა ფეხბურთელმა ვერ გაუძლო ზეწოლას და ფაქტობრივად დაიკარგა. ამით იმის თქმა მინდა, რომ გიორგი ქინქლაძე დაღუპეს არა ჟურნალისტებმა, არამედ ვინც მისი ტრანსფერით მილიონები ჩაიჯიბა.

**P.S.** „ფეხბურთი, სპორტის ეს გამორჩეული სახეობა კარგავს მთელ თავის ბრწყინვალებას. იგი აბსურდულ, დაუმთავრებელ შოუს ემსგავსება. ფეხბურთი ყიდის თავის სულს“ — ეს სიტყვები ეკუთვნის გერმანელ ფეხბურთელს ოლივერ კანს.

ეთანხმებით ამ მოსაზრებას? სიმართლის მარცვალი მართლაც დევს ამ ფრაზებში, მაგრამ სიმართლეს ხომ ყოველთვის არა აქვს გასაქანი.

**ლაშა გოგია**

# ნოდარ ახალკაცის გახსენება

ცნობილი ქართველი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის ფონდმა, ანზორ ბაბუხადიას უშუალო ხელმძღვანელობით ერთი წელია დაიწყო ერთდროული გაზეთის „თანადგომის“ გამოცემა. უკვე გამოვიდა გაზეთის ოცი ნომერი. გამომცემელთა ინიციატივით გაზეთის თითოეული ნომერი ეძღვნება აწ გარდაცვლილ ქართველ მოღვაწეებს. გაზეთის ბოლო ნომერი დაეთმო ქართული ფეხბურთის დიდ მოჭირნახულეს და მეოცე საუკუნის ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ გამარჯვებათა მებაირახტრეს ნოდარ ახალკაცს. გაზეთში დაბეჭდილია ცნობილი ქართველი მწერლების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების, ნოდარ ახალკაცის აღზრდილების და მისი მეგობრების საყურადღებო გამონათქვამები ამ დიდებულ მამულიშვილზე. გაზეთში მკითხველი გაეცნობა: ვახტანგ ბერიძის, ელგუჯა ამაშუკელის, გურამ ფანჯიკიძის, კოტე მახარაძის, ვაჟა აზარაშვილის, ანზორ ერქომაიშვილის, თამაზ წივწივაძის, გულბათ ტორაძის, დემიკო ლოლაძის, ასლან აბაშიძის, ვახტანგ გოგუაძის, ვალერი კვარაცხელიას, ირაკლი ანდრიაძის, თეიმურაზ შაშიაშვილის, ოთარ გაბელიას და ვლადიმერ გუცაევის შეფასებებს. გამოქვეყნებულია აგრეთვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ნოდარ ახალკაცის ოჯახის სახელზე მოსული სამძიმრის რამდენიმე დეპეშა. გაზეთისთვის კარგად არის შერჩეული ილუსტრაციები, რომლებიც სულ მალე ისტორიის კუთვნილებად იქცევა.


თანადგომა

ნოდარ ახალკაცი

მადლობა უნდა ვუთხრათ გაზეთის გამომცემელს ანზორ ბაბუხადიას, გაზეთის რედაქტორს ლევან ბაბუხადიას და გაზეთის დამფინანსებელს ნუგზარ მდივანს ასეთი მამულიშვილური საქმის თაოსნობისათვის. ვუსურვებ მომავალში კვლ-



*1981 წელი. დილმის საწვრთნელი ბაზა. მარცხნიდან: პროფესორი რომან შენგელია, ალექსანდრე ჩივაძე, იბო დოლიძე, აკადემიკოსი სერგო ჯორბენაძე, პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი, ნოდარ ახალკაცი, აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა.*

*ფოტო კოტე შანიძისა*

ბონდო ჯიქიას, არჩილ გოგელიას, ვლადიმერ კანკავას, ზურაბ აბაშიძის, ვალერი ბახტაძის, ალექსანდრე კობაიძის, ვახტანგ ცხადაძის, ოთარ ჭითანავას, დურმიშხან ცინცაძის, დავით ყიფიანის, ალექსანდრე ჩივაძის,

-ავ ბევრი ასეთი კარგი საქმეები ეკეთებინოთ, ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების უკვდავსაყოფად. ღმერთი მათკენ. ამინ!

**დურმიშხან ცინცაძე**

# ქრისტიან-დემოკრატები — სპორტს!

პოლიტიკური პარტიები სწავლობენ, რომ ხალხისგან არა მხოლოდ უნდა მოითხოვონ, არამედ გასცენ კიდეც. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი კი, როგორც თვით სახელი მიგვანიშნებს, ადამიანთა თანადგომი უნდა იყოს ყველგან. ასეა და ამიტომაცაა, რომ სწორედ ამ კავშირისნაირი ორგანიზაციებიდან სწავლობენ ხალხის სამსახურს, ვისაც ამის სურვილი გააჩნია...

როგორც ვწერდით, გარდაბნის რაიონში, სოფ. ახალგორში, ჩატარდა რაიონის განათლების განყოფილების კომპლექსური სპორტული სკოლის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ქვემო ქართლელებმა რედაქციას მიმართეს თხოვნით უფრო ვრცლად გვეთქვა ამ პირველობის შესახებ და განსაკუთრებით სპონსორებზე. სპონსორი კი სწორედ ზემოხსენებული ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი ყოფილა, რომლის წარმომადგენელმა ვანო გუშაშვილმა პრიზებითა და სხვა საჩუქრებითაც დააჯილდოვა გამარჯვებულები და პრიზიორები.

ასპარეზობაში სულ მონაწილეობდა 125 სპორტსმენი რუსთავიდან, გარდაბნიდან, სოფ. ქესალოდან, ნაზარლოდან, ახალ სამგორიდან და გამარჯვებიდან. შეჯიბრება ნამდვილად ინტერნაციონალური გამოვიდა. პირველობა მოიპოვეს: ვანო ნათაძემ (26 კგ, გამარჯვება), ბექა ჭიჭინაძემ (29), დიმიტრი ბაიდოშვილმა (32, ორივე — რუსთ), ელმიზ ისმაილოვმა (35, ნაზარლო), დავით მარიცაშვილმა (38, გარდ. №I სკ.), დათო ჯავახიშვილმა (45, ახ. სამგ), ალიკო ბაკურაძემ (45, რუსთ), სელიმან ბაირამოვმა (48, ქესალო), მირზა ინასარიძემ (43, გამარჯვება), კახა პაპუნაშვილმა (58, რუსთავი) — გადაეცა საუკეთესო მოჭიდავის პრიზი, ისლან მამედოვმა (63, ქესალო), თემურ ხუციშვილმა (69, გამარჯვება), გიორგი ჯაფარიძემ (76, გარდ. №1 სკ), მოსწავლე სპორტსმენები მოამზადეს მწვრთნელებმა ნ. გაჩეჩილაძემ (გამარჯვება), პ. ჯიოშვილმა (რუსთ), ო. ჯოხაძემ (გარდ), გ. ქავთარაძემ, ც. ასპანიძემ, ვ. მელიქიშვილმა (სამივე — ახ. სამგ), ნ. აბდულაევმა (ქესალო).

დაკომპლექტდა რაიონის მოსწავლეთა ნაკრები, რომელიც 2003 წლის მარტში საქართველოს ჭაბუკთა პირველობაში იასპარეზებს.



*I რიგში თემურ ხუციშვილი (I ადგ), დგანან: ნ. გაჩეჩილაძე (მწვრთნელი), გოჩა ინასარიძე (II), ბესო ზედგენიძე ( (II), მირზა ინასარიძე (I).*

# თბილისელთა მეტოქე ცნობილია

როგორც „ლელოს“ 99-ე ნომერში ვწერდით, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი რეგიონთა თასის გათამაშებაში აზერბაიჯანის ნტდ დევონთან გამარჯვების შემდეგ (თუმცა ამ შეხვედრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონია) მომდევნო წრეში გავიდა, სადაც უკვე გაიმართა წილისყრა ფლეი-ოფში მოასპარეზე 8 გუნდისთვის. ჩვენი „დინამოს“ მეტოქე იქნება უკრაინის „აზოვმაში“. დანარჩენები ასე დაწყვილდნენ: „ხიმიკი“ (უკრაინა) — „პონკა“ (ფინეთი), „ბაიერი“ (გერმანია) — „ალგაკომპი“ (უნგრეთი), „ლუჩენეცი“ (სვკ) — „კაპოსვარი“ (უნგრეთი). მეტოქეები ჯერ — 8, შემდეგ კი 15 იანვარს შეხვდებიან ერთმანეთს.

# ბენო ქაშაკაშვილმა ანტარქტიდაზე...

ქართველმა ალპინისტმა ბენო ქაშაკაშვილმა იტალიელებთან — სიმონე მორონთან და ალბერტო მაგლიოანოსთან ერთად, 25 დეკემბერს ანტარქტიდის უმაღლესი მწვერვალი — ვინსენტი დაიპყრო (სიმაღლე 4890 მეტრი). ქაშაკაშვილი ქართველთაგან პირველია, რომელიც მოხვდა ალპინისტთა საერთაშორისო კლუბ „7 მწვერვალში“. ამ კლუბის წევრია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 150-მდე ალპინისტი, რომლებმაც დედამიწის 7 უმაღლესი მწვერვალი დაიპყრეს.

# სერგეი ბუბკა — პოლიტიკოსი

მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში სერგეი ბუბკა დაინიშნა უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ იანუკოვიჩის მრჩევლად. აქვე დავძენთ, რომ მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი უკრაინის პარლამენტის დეპუტატიცაა.

## ბაკურიანი — 2003

# დიდი კობა წაქაძის პატარა შეგირდებმა სეზონი გახსნეს

ბაკურიანში თოვლის საფარმა ნახევარ მეტრს გადააცილა. ძლიერმა ყინვებმა (20 — 22 გრ) კი ისედაც მშრალი თოვლი „მოარგო“ მთელ დაბას. ხელსაყრელი პირობებით უმალ ისარგებლეს დიდი კობა წაქაძის შეგირდმა მფრინავმა მოთხილამურეებმა და რამოდენიმე დღეში 40-მეტრიანი ტრამპლინი სახტომად მოამზადეს. მერე შეჯიბრების დროც დადგა. „ბაკურიანი — 2003“ ასეთი წარწერა ამოკვეთეს თოვლზე ნაძვის წიწვებით 40 მეტრიანი ტრამპლინის შუა მონაკვეთზე იმ პატარებმა რომლებიც ამ დღეს ზამთრის სპორტული სეზონის გახსნის პირველი მერცხლები იყვნენ.

მისასალმებელია, რომ პირველებმა სწორედ თხილამურებით მხტომელებმა გახსნეს სეზონი. ასე იყო ადრეც, 15 წლის წინათ, როცა ზამთრის სპორტული სეზონი ბაკურიანში ტრამპლინიდან ხტომით იწყებოდა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე. ბიჭებმა 7-7 ნახტომი გააკეთეს. უამრავი რჩევებიც მიიღეს კობა მასწავლებლისგან. სულ პატარებს კი მალე შესაფერის მომცრო ტრამპლინს გაუკეთებენ.

— კარგი ვაჟკაცებივით მიდგნენ მხარში, ესენი, რომ არა, მარტო რას გავხდებოდი, — გვეუბნება ბატონი კობა და უკვე საასპარეზოდ გამზადებულ ტრამპლინს გასცქერის. სეზონი გაიხსნა.

**სოფიო ხეთაგაშვილი,**
ბაკურიანი



# „ბენდელას თასით“ ახლა რკინიგზელებმა გაიხარეს

გასულ შაბათს დასრულდა „ბენდელას თასის“ გათამაშება. სპორტის სასახლის გაყინულ დარბაზს მაყურებელი მოერიდა და გამარჯვებული მცირერიცხოვანი გულშემატკივრის თვალწინ გამოვლინდა.

მესამე ადგილისათვის შეხვედრები არც ისე საინტერესო გამოდგა. ბავშვებში ეს ადგილი წილად ხვდა „შევარდენს“, რომელმაც 1-0 დაამარცხა „ოლიმპი 1“. დიდებში „თბილისი“ გახდა მესამე პრიზიორი, რომელმაც „ნაძალადევის“ გუნდი გამანადგურებელი ანგარიშით 6-1 დაამარცხა.

საინტერესო გამოდგა ბავშვებში „ნორჩი დინამოსა“ და „ხობის“ ფინალური მატჩი. გამარჯვება დინამოელებმა მოიპოვეს 4-0. ვეტერანებშიც ფინალის ძირითადი დრო 3-3 დასრულდა. პენალტების სერიაში „ბენდელამ“ 4-3 მოუგო შსს-ს.

დიდების ანუ ძირითად ფინალში ერთმანეთს „ლოკომოტივი“ და „მაისი“ დაუპირისპირდა. აქ შემოემატა მაყურებელი. გულშემატკივრების უმრავლესობა ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე „ლოკომოტივს“ უჭერდა მხარს, თუმცა, არც „მაისი“ დაივიწყეს. მატჩი ლამაზი სანახავი გამოდგა. რკინიგზელთაგან გოლები კვარაცხელიამ და მორჩილაძემ გაიტანეს, რამაც გუნდს საბოლოო წარმატება მოუტანა. „ბენდელას თასი“ სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ „ლოკომოტივის“ კაპიტანს გიორგი ლომაიას გადასცა.

თამაშის შემდეგ გაიმართა გამორჩეული ფეხბურთელების დაჯილდოება. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი დავით სირაძე დაასახელეს. მეკარედ — გიორგი ლომაია. ფეირ-პლეის პრიზი „მაისის“ ფეხბურთელს ზურაბ ბათიაშვილს ერგო. საუკეთესო ბომბარდირად ისევ „მაისის“ ფეხბურთელი ლაშა ჯაკობია დაასახელეს, ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელად — ლადო ბურდული, საუკეთესო მწვრთნელად — „ლოკომოტივის“ თავკაცი ზაზა დადუნაშვილი. გამადმწყვეტი გოლისათვის კი ლოკომოტიველი გივი კვარაცხელია წაახალისეს.

ლელა ჯანკოტაძე



ბენდელას თასი



„ბენდელას თასის“ მფლობელი „ლოკომოტივი“



ბავშვთა ტურნირის გამარჯვებული „ნორჩი დინამოელი“

# 33 საუკეთესოთა შორის...

## ეს ჩვენი საფეხბურთო ისტორიაცაა

ვასრულებთ პუბლიკაციას თუ როგორ იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა წლებში, საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში თბილისის „დინამოსა“ და, საერთოდ, საქართველოს ფეხბურთელები.

**1982 წელი**

***განაპირა მცველები:*** 1. სერგეი ბოროვსკი („დინამო“, მინსკი), 2. ვლადიმირ ლოზინსკი („დინამო“, კიევი), 3. **ნოდარ ხიზანიშვილი** („დინამო“, თბილისი);

***მარჯვენა ცენტრალური მცველები:*** 1. **ალექსანდრე ჩივაძე** („დინამო“, თბილისი), 2. მიხაილ ოლიფერენკო („დინამო“, კიევი), 3. ვიქტორ იანუშევსკი („დინამო“, მინსკი);

***მარჯვენა ნახევარმცველები:*** 1. ალექსანდრე პროკოპენკო („დინამო“, მინსკი), 2. ანდრეი ბალი („დინამო“, კიევი), 3. **ვიტალი დარასელია** („დინამო“, თბილისი);

***განაპირა თავდამსხმელები:*** 1. იგორ გურინოვიჩი („დინამო“, მინსკი), 2. ვადიმ ევტუშენკო („დინამო“, კიევი), 3. ***გრიგოლ ცაავა*** („დინამო“, თბილისი).

**1983 წელი**

***მარცხენა ცენტრალური მცველები:*** 1. **ალექსანდრე ჩივაძე** („დინამო“, თბილისი), 2. სერგეი ბოროვსკი („დინამო“, მინსკი), 3. ვასილი ქუპიკოვი („ტორპედო“, მოსკოვი).

**1984 წელი**

***განაპირა მცველები:*** 1. **თენგიზ სულაქველიძე** („დინამო“, თბილისი), 2. ვლადიმირ სოჩნოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), 3. ნიკოლოზ ლარიონოვი („ზენიტი“, ლენინგრადი);

***მარჯვენა ცენტრალური მცველები:*** 1. **ალექსანდრე ჩივაძე** („დინამო“, თბილისი), 2. სერგეი ბოროვსკი („დინამო“, მინსკი), 3. ალექსანდრე ბუბნოვი („სპარტაკი“, მოსკოვი).

**1985 წელი**

***მარჯვენა ცენტრალური მცველები:*** 1. სერგეი ბალტაჩა („დინამო“, კიევი), 2. **ალექსანდრე ჩივაძე** („დინამო“, თბილისი), 3. ალექსანდრე ბუბნოვი („სპარტაკი“, მოსკოვი).

**1986 წელი**

***განაპირა მცველები:*** 1. ვადიმ ბესონოვი („დინამო“, კიევი), 2. **თენგიზ სულაქველიძე** („დინამო“, თბილისი), 3. ვიქტორ ლოსევი („დინამო“, მოსკოვი);

***ცენტრალური მცველები:*** 1. **ალექსანდრე ჩივაძე** („დინამო“, თბილისი), 2. სერგეი ბალტაჩა („დინამო“, კიევი), 3. სერგეი პრიგოდა („ტორპედო“, მოსკოვი).

**1987 წელი**

ამ წელს სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის არც ერთი ქართველი არ დასახელებულა.

ქვეყნდება დურმიშხან ცინცაძის მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, მისივე რედაქციით.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №88-101

# მართლაც რჩეული კაპიტანი

## მურთაზ ხურცილავა – 60

ძველი დროის ფეხბურთი, უფრო სწორად, ქართული ფეხბურთის 60-70-იანი წლების თბილისის „დინამო“ წარმოუდგენელია მურთაზ ხურცილავას გარეშე. ფეხბურთელისა, რომელიც სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად. ვინც, თუნდაც, რამდენჯერმე იხილა მისი თამაში მინდორზე, არასოდეს დაავიწყდება გამორჩეული სპორტული თვისებებით დაჯილდოებული დიდებული მოთამაშე. მას დიდოსტატურად შეეძლო, როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში თამაში, ხოლო სპორტულ ოსტატობასთან ჰარმონიულად შერწყმულმა პიროვნულმა თვისებებმა იგი შეუცვლელ ფეხბურთელად აქცია, როგორც კლუბში, ისე სსრ კავშირის ნაკრებში — კაპიტნობას და ისიც საბჭოთა ნაკრებისა კი, შემთხვევით არავის აძლევდნენ.

რამდენიმე დღეში ქართული ფეხბურთის მშვენებას მურთაზ ხურცილავას 60 წელი უსრულდება. საიუბილეო თარიღს ვულოცავთ სახელოვან ფეხბურთელს, გამოცდილ მწვრთნელს, რომელიც დღესაც, დაუღალავად ემსახურება ქართულ ფეხბურთს.

***დაიბადა*** 1943 წლის 5 იანვარს მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში. საფეხბურთო ამპლუა — ცენტრალური მცველი. სპორტის დამსახურებული ოსტატი (1969). ფეხბურთის თამაში დაიწყო მარტვილის „სალხინოში“ 1958 წელს. სწავლა გააგრძელა თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში (1959). თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავდა 1961-75 წლებში (ივნისამდე). 1975 წლის ივლისიდან 1976 წლის ჩათვლით თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“. სსრკ-ის ჩემპიონატში ჩაატარა 293 მატჩი, გაიტანა 15 გოლი. 1962, 1967, 1969, 1971, 1972 წლების სსრკ-ის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი. თასის ფინალისტი (1970). ევროტურნირებში ჩაატარა 6 მატჩი. თბილისის „დინამოს“ კაპიტანი იყო 1971-75 წლებში. 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის პირველ ნომრად დაასახელეს (1968, 1969, 1971, 1972, 1973 წლებში), მეორე ნომრად — (1965, 1966). მესამე ნომრად — (1963, 1967, 1970). სსრკ-ის ნაკრებში (1965-73 წლებში) ჩაატარა 70 მატჩი, გაიტანა 6 გოლი. ოლიმპიურ ნაკრებში (1963-64 წ.წ.) ჩაატარა 3 მატჩი. 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისტი, 1972 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელი. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. სსრკ-ს ნაკრების კაპიტანი (1972-1973 წ.წ.). 60-70-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მცველი.

***სამწვრთნელო კარიერა:*** ზუგდიდის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი (1977-79, 1981 წლის აგვისტომდე), სამტრედიის „ლოკომოტივის“ (1980), ლანჩხუთის „გურიის“ (1981 წლის სექტემბრიდან — 1982, 1990 წლის ივნისამდე), თბილისის „შევარდენი 1906“-ის (1983-87 წლის აგვისტომდე, 1988 წლის მაისამდე, 1992-93-94, 1996 წლის ივნისამდე). „სამტრედია“ (1991 ივლისიდან — 1992 წლის თებერვლამდე, 1994 წლის ივლისიდან 1995 წლის აგვისტომდე), ზუგდიდის „ოდიშის“ (1996-97), თბილისის „დინამოს“ (1998-99), საქართველოს ოლიმპიური ნაკრების 1999-2001 წ.წ. 2001 წლიდან დღემდე საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი.



მურთაზ ხურცილავა — საბჭოთა ნაკრების კაპიტანი

# მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შობა-ახალ წელს ულოცავს უმაღლესი ლიგის, პირველი ლიგის, რეგიონალური ლიგის კლუბებს, მათ ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, ეროვნული ჩემპიონატის მომსახურე მსაჯებს და ინსპექტორებს, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს. უსურვებს მათ წარმატებას პირად ცხოვრებაში ქართული ფეხბურთის სასიკეთოდ გაწეულ შრომაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი დასტაქრის, ქართული სპორტული მედიცინის პატრიარქის პროფესორ

ზაქარია თელიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება 31.12 14 სთ-ზე ანოტონოვსკაიას 9-ბ III სად.

საფეხბურთო კლუბი ბათუმის „დინამო“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი დასტაქრის, პროფესორ

ზაქარია თელიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# სფფ-ს აღმასკომის სხდომა

გუშინ გაიმართა აღმასკომის მორიგი სხდომა. აღმასკომმა ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაამტკიცა რევაზ არველაძე, განიხილეს XIV ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის კალენდარი. ძირითადად მოიწონეს და მცირე კორექტივების შემდეგ საბოლოოდ დამტკიცდება სფფ-ს ახალი ემბლემა. მოისმინეს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ანგარიში.

აღმასკომის სხდომის შემდეგ ცნობილი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის შვიდტომეული გადაეცა სფფ-ს და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს. იგივე საჩუქარი, როგორც გამოცხადდა, გადაეცემა მორაგბეთა ნაკრებს. ამ დღეებში დაზუსტდება ესტონეთთან ამხანაგური მატჩის გამართვის საკითხი.



რევაზ არველაძე

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №8 (29) დეკემბერი, 2002 წელი


## კახა ბასილია: სამჯერ სახელობითი ვერცხლის მედლის მოპოვება, ნიშნავს გახდე ოქროს კარატისტი



საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციისთვის 2002 წელი ფრიად წარმატებული აღმოჩნდა. თუმცა, არც წინა წლები იყო უიღბლო, რამაც წლევანდელი ტრიუმფალური გამარჯვება მოაპოვებინა ქართველ კარატისტებს. აქედან გამომდინარე, კარატე საქართველოში დღითი-დღე პოპულარული ხდება და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ქართველი კაცი მოდგმით, ბუნებით ხომ მებრძოლია და, შეიძლება ითქვას, სრულიად შეითვისა, გაითავისა, ქართული სული შთაბერა ორთაბრძოლის ამ უნიკალურ ხელოვნებას. ქართველმა კარატისტებმა არაერთხელ ისახელეს თავი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, რაც, უდაოდ, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის დიდი დამსახურებაა. 2002 წლის საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის წარმატება-წარუმატებლობაზე და მისი საქმიანობის შესახებ, ამავე ფედერაციის პრეზიდენტს, მსოფლიო ჩემპიონს, კახა ბასილიას ვესაუბრეთ.

**- ბატონო კახა, როგორ შეაფასებთ 2002 წლის სპორტულ შედეგებს და რამდენად წარმატებული იყო ეს წელი თქვენი ფედერაციისთვის?**

- ეს წელი ჩვენი ფედერაციისთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ამ წელმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენი ფედერაციის ნაყოფიერ მუშაობაში, რაც თითოეული ინსტრუქტორის, სპორტსმენის და, რა თქმა უნდა, ფედერაციის ხელმძღვანელობის და მეგობრების, რომლებიც გვეხმარებიან, დიდი დამსახურებაა.

2002 წელი კიდევ იმით არის აღსანიშნავი, რომ გამოჩნდა ახალი, პერსპექტიული კარატისტების სახელები, რომლებმაც საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე.

**- დეკემბრის ბოლოს ატარდა საქართველოს ჩემპიონატი, სადაც უნდა გამოვლენილიყო საქართველოს კარატისტთა შორის საუკეთესოები, ასევე საუკეთესო ინსტრუქტორები. როგორ შეაფასებთ, რა შედეგი მიიღეთ?**

- 21-22 დეკემბერს ჩვენი ფედერაციის ცენტრალურ დარბაზში ჩატარდა შეჯიბრი, სადაც უნდა გამოვლენილიყვნენ საუკეთესო კარატისტები კატასა და კუმიტეში და შედეგიც ისეთი მივიღეთ, როგორსაც ველოდით - კარგი. ასევე გამოვლინდნენ საუკეთესო ინსტრუქტორები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის კარატისტები, რომლებმაც იასპარეზეს საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატებსა თუ ტურნირებზე და არიან პრიზიორები და ჩემპიონები. აქედან გამომდინარე, შეჯიბრი სანახაობრივად საინტერესო და აზარტული იყო. ის კარატისტები, რომლებიც საუკეთესოთა შორის საუკეთესოები გახდნენ, დღეს საზეიმო ვითარებაში დაჯილდოვდნენ დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებით, საქართველოს საუკეთესო კარატისტის ვერცხლის სახელობითი მედლებით. ვინც ამ მედალს სამჯერ ზედიზედ მოიპოვებს, მას გადაეცემა ასეთივე, საუკეთესო კარატისტის სახელობის, ოღონდ უკვე ოქროს მედალი, რომელიც მას საუკეთესო, ოქროს კარატისტის ტიტულს მიანიჭებს. ამ სპრტსმენებმა იასპარეზეს თბილისის ღია პირველობაზე მოზარდთა შორის, რომელიც 17 მარტს თბილისში გაიმართა, 21 აპრილს გორში გამართულ საქართველოს პირველობაზე კარატე-დოში, 12 მაისის ისანსამგორის ღია ჩემპიონატზე, თბილისში,18-19 მაისს ჩატარებულ კლუბ "ტაძრის" ღია პირველობაზე, "ფაზისის თასი 2002"-ის რესპუბლიკურ ტურნირშზე, რომელსაც ფოთმა უმასპინძლა, შოტოკან კარატე-დოს "მსოფლიო თასზე", რომელიც 23-25 აგვისტოს გერმანიაში გაიმართა, 26-28 სექტემბერს ევროპის მე-10 ჩემპიონატზე ვადო კარატეში, ირლანდიაში, მე-6 მსოფლიო ჩემპიონატზე შოტოკან კარატე-დოში, რომელსაც14-20 ოქტომბერს, რომელიც გერმანიაში გაიმართა, 26-27 ოქტომბერს თბილისში გაიმართა საქართველოს ღია ჩემპიონატზე კარატე-დოში, 16-17 ნოემბერს კლუბ :გვარდიის" პირველობზე პირველობაზე და ბოლოს, 21-22 დეკემბერს მათ ამ წელს საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ ისინი საუკეთესონი არიან. საუკეთესო სპორტსმენებს ვუნიშნავთ ჩვენი ფედერაციის სახელობის სტიპენდიას, ყველაფერი ეს კი მათთვის დიდი სტიმულია.

**- და ყველაფერ ამას საკმაოდ თანხები სჭირდება. როგორ აგვარებთ ფინანსურ პრობლემებს?**

- შეიძლება ბევრისთვის დაუჯერებელი იყოს, მაგრამ თითოეული სპორტსმენის შეჯიბრზე წაყვანის, ეკიპირების თუ სტიპენდიის ხარჯებს ჩვენი ფედერაცია იღებს თავის თავზე. აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს კარატეს ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორია უშიშროების სამსახური "დელტა".

**- ბატონო კახა, გარდა ამისა, თქვენი ფედერაცია სხვა უამრავ საქმიანობას ეწევა.**

- უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ფედერაცია, დაარსების დღიდან, საქართველოს ჯანმრთელი და საღად მოაზროვნე თაობის აღზრდა-ჩამოყალიბებაზე მუაობს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არაერთი პროექტი განვახორციელეთ. რამდენიმე საშუალო სკოლაში კარატე სავალდებულო საგნად დავნერგეთ, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. კარატე, როგორც სამხედრო დისციპლინა და ხელოვნება საქართველოს შეიარაღებულ ძალებშიც დავნერგეთ. ასე რომ, ბავშვი, რომელიც სკოლიდან ვარჯიშობს კარატეში, უკვე კარგად მომზადებულია ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად და მისთვის არც ჯარში სამსახური იქნება ძნელი. მისგან კარგი ჯარისკაცი, კარგი მებრძოლი და სამშობლოს დამცველი დადგება. ეს მეთოდები უკვე აპრობირებულია მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში და შედეგებიც დადებითი აქვთ. ვატარებთ საერთაშორისო სემინარებს სპორტსმენებისთვის, ინსტრუქტორებისთვის, მსაჯებისთვის და ვაძლევთ დამადასტურებელ სერთიფიკატს. ყოველივე ამან დიდი შედეგი მოგვცა, დღეს უკვე გვყავს ათეულობით საერთაშორისო კლასის სპორტსმენი, ინსტრუქტორი და მსაჯი, რომლებიდანაც ბევრი უცხოეთშია მიწვეული, როგორც პროფესიონალები. აქვე დავამატებ, ჩვენმა ფედერაციამ შეფობა აიღო კოჯრის უპატრონო ბავშვთა სახლზე და ზრუნავს მათზე.

**- სამომავლო, 2003 წლის გეგმები როგორია?**

- 2003 წელს, 2002 წლის შედეგების გათვალისწინებით დავიწყებთ. ეს წელი ჩვენი ფედერაციისთვის წარმატებული, ჩემპიონების წელი აღმოჩნდა, და აქედან გამომდინარე, შემდგომშიც, შედეგები უფრო დიდი უნდა გვქონდეს.. წინ საქართველოს, საერთაშორისო, ევროპის და მსოფლიოს არაერთი ტურნირი და ჩემპიონატი გველის. ეს კი, თავისთავად, ძალზე საპასუხისმგებლოა და სერიოზულადაც ვემზადებით. კიდევ არაერთი საინტერესო და სასარგებლო პროექტის განხორციელება გვაქვს დაგეგმილი.

და ბოლოს, ვულოცავ ქართველ კარატისტებს, ყველა სპორტსმენს და მთლიანად საქართველოს 2003 წელს, ბედნიერი, იღბლიანი და წარმატებული ყოფილიყოს ყველასთვის!

***ნუგზარ ჭიაბერაშვილი***
***საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი***

## პრეზიდენტი კახა ბასილია გილოცავთ

გილოცავთ ახალ 2003 წელს! ეს წელი ბედნიერების, ჯანმრთელობის, სპორტული და ყველა საქმისთვის წარმატებული ყოფილიყოს!

ჩვენი ფედერაციისთვის, ეს წელი ფრიად წარმატებული აღმოჩნდა და, ვიმედოვნებ, რომ 2003 წელი უკეთესი იქნება, როგორც სპორტული ასევე ყველა საქმიანობაში.

ვიმედოვნებ, რომ ეს წელი საქართველოსთვის, მისი მომავალი თაობისთვის საუკეთესო იქნება, ქართველი ერის ლამაზი ცხოვრების დასაწყისი იქნება.

გილოცავთ ახალ წელს, ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ყველა თქვენთაგანისთვის და მთლიანად საქართველოსთვის.

*კახა ბასილია*

### მილოცვები მსოფლიოდან

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მიიღო მილოცვა, რაზეც საპასუხოდ, ვულოცავთ, ვუსურვებთ ბედნიერ წელს.

### მეგობრები გილოცავენ

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციას ახალ წელს ულოცავენ მისი ერთგული მეგობრები: საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბატ. დავით თევზაძე, ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი გიორგი ბარამიძე, მიხეილ მაჭავარიანი, მიხეილ სააკაშვილი, ირაკლი მეძმარიაშვილი და ზურაბ ჟვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2002 წლის საუკეთესო კარატისტთა ათეული
## საერთო ჯამში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული იქნა 13 ოქროს, 9 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი. გილოცავთ წარმატებას!


ქეთინო გოგბერაშვილი


დავით ტყებუჩავა


ლევან ტყებუჩავა


დავით აბრამიშვილი


ლევან გორელაშვილი


ჯუმბერ ჯოჯუა


იუზა შენგელია


გიორგი კოხრეიძე


გიორგი გოლოშვილი


გარსევან ადამიანი

## 2002 წლის კარატეს საუკეთესო ინსტრუქტორთა ხუთეული


ბესო ხუციშვილი


ვაჟა კრიჭაშვილი


ვეფხია ხუცინაშვილი


ვაჟა უნგიაძე


კობა ცერცვაძე

## 2002 წლის კარატეს საუკეთესო მსაჯები

## 2002 წლის კარატეს საუკეთესო კლუბების პრეზიდენტები


თამაზ გორელაშვილი


თემურ რამიშვილი


პაატა მასხულია


გოჩა სარკიაშვილი

Gammabank

„გამაბანკი" გილოცავთ ახალ 2003 წელს!



უშიშროების სამსახური „დელტა" გილოცავთ ახალ წელს

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89. WWW.karate.ge

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ვალერი გაზაევი რუსეთის ნაკრებზე და მომავალ სეზონზე

**რუსეთის ნაკრები ქართველი ფეხბურთელების უმთავრესი მეტოქეა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. მოგეხსენებათ, მომავალი წლის გაზაფხულზე სწორედ ეს გუნდები ხვდებიან ერთმანეთს მეტად პრინციპულ მატჩში.**
**აქედან გამომდინარე, ჩვენს მკითხველებსაც აინტერესებთ რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების ყოველი სიახლე, ასე ვთქვათ, ყოველი ნაბიჯი. ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს შვებულებიდან დაბრუნებული რუსთა ნაკრების თავკაცის ვალერი გაზაევის მიერ „სპორტისათვის“ მიცემული ინტერვიუ.**



• ***როგორ დაისვენეთ?***

— შესანიშნავად. ოჯახთან ერთად ესპანეთში ვიმოგზაურე 12 დღის განმავლობაში. ახლა კი ისევ შევუდექი მუშაობას. უნდა ითქვას, რომ დასვენებისათვის 10-12 დღეც სრულებით საკმარისია. ყოველთვის ასეა: მთავრდება ერთი ჩემპიონატი, იწყება მეორე, ასეთ რიტმში აგერ უკვე, რამდენი ხანია ვართ...

• ***ბოლო პერიოდში მეტად პოპულარული იყო ცსკა-სა და რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელობის შეთავსების საკითხი... ყველაფერი იქეთკენ მიდის, რომ ორივე გუნდს უთავკაცებთ...***

— მე უკვე არაერთხელ განვაცხადე, რასაც გადაწყვეტენ ურთიერშეთანხმების საფუძველზე რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი და ცსკა-ს პრეზიდენტი ევგენი გინერი, ისე ვიმოქმედებ.

• ***ფეხბურთის რუსგულშემატკივრებს მეტად აინტერესებთ დმიტრი სიჩევის ნაკრებში ყოფნა-არყოფნის საკითხი.***

— მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ჯერჯერობით ისიც კი გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა სიჩევი საფრანგეთის ჩემპიონატში. მე შემიძლია ახლავე ვთქვა ერთი რამ: თუკი სიჩევი ნებისმიერ კლუბში ითამაშებს ისეთ დონეზე, როგორც ეს მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის დაწყებამდე იყო, მისთვის ნაკრების კარი ღია იქნება. თუკი ის უკლუბოდ იქნება, ცხადია, სრულყოფილად ვერ ივარჯიშებს და ნაკრებშიც ვერ მოვიწვევთ.

• ***მოიწვევთ თუ არა რუსეთის ნაკრებში მოსტოვოის და კარპინს?***

— ამ ფეხბურთელების თამაშს ყურადღებით ვადევნებ თვალს. კარპინი ბოლო პერიოდში საკმაოდ დამაჯერებლად თამაშობს, რაც მეტად მახარებს. მალე ესპანეთში გაემგზავრებიან ჩემი თანაშემწეები ალექსანდრ ბოროდიუკი და ნიკოლაი ხუდიევი, რომლებიც თვალყურს გაადევნებენ, როგორც მოსტოვოისა და კარპინს, ისე ონოპკოსაც.

• ***რა მიზნებს ისახავს ცსკა მომავალ სეზონში?***

— ჩვენი მიზნები კარგად ჩანს გასული ჩემპიონატის შედეგებიდან გამომდინარე, თუმცა, ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის წარმატებით დაძლევა. საამისოდ სერიოზულად ვემზადებით, ვაპირებთ რამდენიმე ახალი ფეხბურთელის შეძენასაც.

## რონალდო... ციფრებში

**მსოფლიოს ნომერ პირველ ფეხბურთელად რონალდოს აღიარების შემდეგ სტატისტიკოსებმა ბრაზილიელის საფეხბურთო კარიერა ციფრებში წარმოადგინეს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.**

### როնალდო ლუის ნაზარუ დე ლიმა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1994 და 2002 წ.წ.), „კოპა ამერიკას“ ორგზის გამარჯვებული (1997, 1999) თასების მფლობელთა თასის (1997), კონფედერაციის თასის (1997), უეფას თასის (1998) და საკონტინენტთაშორისო თასის (2002) მფლობელი.

მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი (2002).

***პროფესიული კარიერა:***

***1993-1994 წ.წ.*** — „კრუზეირო“. ბრაზილიის ჩემპიონატზე: 14 მატჩი, 12 გოლი; ბრაზილიის თასზე: 13 მატჩი, 10 გოლი, ნაკრებში: 3 მატჩი, 1 გოლი.

***1994-1995 წ.წ.*** — პსვ ეინდჰოვენი. ჰოლანდიის ჩემპიონატზე: 33 მატჩი, 30 გოლი. ჰოლანდიის თასზე: 2 მატჩი, 2 გოლი. ევროტურნირებზე: 2 მატჩი, 3 გოლი. ნაკრებში: 6 მატჩი, 1 გოლი.

***1995-1996 წ.წ.*** — პსვ „ეინდჰოვენი“. ჰოლანდიის ჩემპიონატზე: 13 მატჩი, 12 გოლი; ჰოლანდიის თასზე: 3 მატჩი, 1 გოლი. ევროტურნირებზე: 5 მატჩი, 6 გოლი. ნაკრებში: 1 მატჩი, 2 გოლი.

***1996-1997 წ.წ.*** — „ბარსელონა“. ესპანეთის ჩემპიონატზე: 37 მატჩი, 34 გოლი; ესპანეთის თასზე: 5 მატჩი, 8 გოლი. ევროტურნირებზე: 7 მატჩი, 5 გოლი; ნაკრებში: 17 მატჩი, 15 გოლი.

***1997-1998 წ.წ.*** — „ინტერი“. იტალიის ჩემპიონატზე: 32 მატჩი, 25 გოლი. იტალიის თასზე: 4 მატჩი, 3 გოლი; ევროტურნირებზე: 11 მატჩი, 6 გოლი; ნაკრებში: 17 მატჩი, 10 გოლი.

***1998-1999 წ.წ.*** „ინტერი“. იტალიის ჩემპიონატზე: 19 მატჩი, 14 გოლი, იტალიის თასზე: 3 მატჩი, ევროტურნირებზე: 6 მატჩი, 1 გოლი; ნაკრებში: 7 მატჩი, 6 გოლი.

***1999-2000 წ.წ.*** — „ინტერი“, იტალიის ჩემპიონატზე: 7 მატჩი, 3 გოლი; იტალიის თასზე: 1 მატჩი; ნაკრებში: 3 მატჩი, 1 გოლი.

***2001-2002 წ.წ.*** — „ინტერი“. იტალიის ჩემპიონატზე. 10 მატჩი, 7 გოლი; ევროტურნირებზე: 5 მატჩი;



ნაკრებში: 10 მატჩი, 9 გოლი.

***2002-2003 წ.წ.*** . — „რეალი“. ესპანეთის ჩემპიონატზე: 9 მატჩი, 5 გოლი; ევროტურნირებზე: 3 მატჩი; ნაკრებში: 2 მატჩი, 2 გოლი.

# წლის ლონდონური აკორდი

ევროპულ საკლუბო ფეხბურთში წლევანდელი წელი დაასრულა ინგლისის პრემიერ-ლიგის 21-ე ტურის ცენტრალურმა შეხვედრამ ლონდონის „არსენალსა“ და „ლივერპულს“ შორის. დიახ, სტადიონ „ჰაიბერიზე“ ორი ფრანგი სპეციალისტი: არსენ ვენგერი და ჟერარ ულიე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გამარჯვების შემთხვევაში, ვენგერის გუნდი 7 ქულით ჩამოიტოვებდა უახლოეს მდევარს. ასევე სამი ქულა ჰაერივით ესაჭიროებოდა „ლივერპულს“, რომელიც ბოლო პერიოდში კრიზისს განიცდის. თავად განსაჯეთ: უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში „ლივერპულს“ არ ჰქონია შემთხვევა, რომ ზედიზედ რვა მატჩში არ გაემარჯვოს. ამიტომაც იყო, რომ შეხვედრა ამ გუნდებს შორის უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. თამაში მაღალი ტემპით დაიწყო, თუმცა საგოლე მომენტები არც ისე ხშირი იყო, რაშიც „ბრალი“ მიუძღოდა კოკისპირულ წვიმას. და მაინც, ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. მე-16 წუთზე სოლ კემპბელმა გოლიც გაიტანა, მაგრამ მატჩის არბიტრმა არ ჩათვალა, რადგან ლონდონელთა მხრიდან წესის დარღვევა დააფიქსირა. პირველი ტაიმი ნულოვანი შედეგით დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისში „ლივერპული“ გააქტიურდა და რამდენიმე საგოლე მომენტი „გააფუჭა“. 68-ე წუთზე კემპბელმა თამაშის წესი დაარღვია ბაროშის წინააღმდეგ და მსაჯმაც „არსენალის“ კარში დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომლის რეალიზებაც დენი მერფიმ მოახდინა 0-1.

ცხადია, „არსენალი“ საკუთარ მოედანზე მარცხს ვერ შეეგუებოდა. არსენ ვენგერის გუნდი შეტევაზე გადავიდა. 10 წუთში უკვე ჯეფერსი წააქციეს სტუმართა გუნდის საჯარიმო მოედანზე და ანრიმ თერთმეტმეტრიანით გაათანაბრა ანგარიში 1-1. დარჩენილ დროში მეტოქეები აშკარად ფრთხილობდნენ და შედეგიც ლოგიკური იყო. „ლივერპულმა“ მოუგებელი მატჩების სერია ცხრამდე აიყვანა.

***სხვა მატჩები:*** „ჩარლტონი“ — „ვესტ ბრომვიჩი“ 1-0, „საუთჰემპტონი“ — „სანდერლენდი“ 2-1, „ბლექბერნი“ — „ვესტ ჰემი“ 2-2, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბირმინგემი“ 2-0, „ლიდსი“ — „ჩელსი“ 2-0, „ფულემი“ — „მანჩესტერ სიტი“ 0-1, „ევერტონი“ — „ბოლტონი“ 0-0, „ასტონ ვილა“ — „მიდლსბრო“ 1-0.

სატურნირო ცხრილში 43 ქულით პირველ ადგილზეა „არსენალი“, რომელსაც 5 ქულით ჩამორჩებიან „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ჩელსი“.

ინგლისური კლუბები არც ახალ წელს ისვენებენ. 1 იანვარს გაიმართება 22-ე ტურის მატჩები. ერთმანეთს ხვდებიან: „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „სანდერლენდი“, „ასტონ ვილა“ — „ბოლტონი“, „საუთჰემპტონი“ — „ტოტენჰემი“, „ევერტონი“ — „მანჩესტერ სიტი“, „ლიდსი“ — „ბირმინგემი“, „ფულემი“ — „ვესტ ბრომვიჩი“, „ჩარლტონი“ — „ვესტ ჰემი“, „ბლექბერნი“ — „მიდლსბრო“, „არსენალი“ — „ჩელსი“, „ნიუკასლი“ — „ლივერპული“.

შოტლანდიის პრემიერლიგის მორიგ 23-ე ტურში შოთა არველაძის „რეინჯერსმა“ ლოვენკრანდსის ერთადერთი გოლის წყალობით სძლია სტუმრად „კილმარნოკს“ და 60 ქულით კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას. მას ერთი ქულით ჩამორჩება „სელტიკი“, რომელმაც ასეთივე ანგარიშით სძლია „დანფერმლაინს“.

***სხვა მატჩები:*** „პარტიკი“ — „დანდი იუნ“ 0-0, „ლივინგსტონი“ — „მოზერველი“ 1-0, „ჰიბერნიანი“ — „აბერდინი“ 2-0, „დანდი“ — „ჰართსი“ 1-2.

მომდევნო ტურის მატჩები შედგება 2 იანვარს. ერთმანეთს ხვდებიან: „აბერდინი“ — „სელტიკი“, „მოზერველი“ — „პარტიკი“, „ჰართსი“ — „ჰიბერნიანი“, „რეინჯერსი“ — „დანდი“, „დანფერმლაინი“ — „ლივინგსტონი“, „დანდი იუნ.“ — „კილმარნოკი“.



*არსენალი — ლივერპული*



*სელტიკი — დანფერმლაინი*

## გასქოინი საავადმყოფოში მოხვდა



*პოლ გასქოინი*

**ინგლისის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი პოლ გასქოინი საავადმყოფოში მოათავსეს იმის გამო, რომ მისი სახის ერთმა ნახევარმა მგრძნობიარობა დაკარგა. შეგახსენებთ, რომ ამჟამად გასქოინი არც ერთ კლუბს არ ეკუთვნის. ბოლო პერიოდში კი სისტემატურად გამოთქვამს დიდ ფეხბურთში დაბრუნების სურვილს. ექიმების თქმით, ფეხბურთელი მალე გამოჯანმრთელდება.**

## დიდი ცვლილებებით „სპარტაკ-ალანიაში“

ჩრდილოეთ ოსეთის საფეხბურთო კლუბმა „სპარტაკ-ალანიამ“ რევაზ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით, მომავალი ჩემპიონატისათვის მზადების პირველი ეტაპი დაასრულა. ქართველი სპეციალისტის თქმით, მისი გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. გიორგი დემეტრაძეს კვალში მიჰყვა ალან კუსოვი, რომელიც ამიერიდან მოსკოვის ცსკა-ს ღირსებას დაიცავს. კიევის „დინამოში“ ისინჯება ჯამბულატ ბაზაევი. სამშობლოში გაემგზავრა ბრაზილიელი პაულუ ემილიუ. ტრანსფერზე არიან დაყენებულნი უკრაინელი ლეგიონერები – სერგეი სიმონენკო, ვიტალი ბალიცკი და ვიაჩესლავ სვიდერსკი.

არის შევსებაც. ძოძუაშვილზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ვლადიკავკაზის „ავტოდორის“ ფეხბურთელებმა ელბრუს ზურაევმა და დმიტრი ბოლდირევმა, გულუვმა აზერბაიჯანიდან.

3 იანვარს „სპარტაკ-ალანია“ კვიპროსში გააგრძელებს მზადებას.

## შირერი თვლის, რომ „ნიუკასლი“ კიდევ იბრძოლებს ჩემპიონობისათვის



**ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირმა ალან შირერმა მას შემდეგ, რაც მისმა „ნიუკასლმა“ 2-1 დაამარცხა „ტოტენჰემი“, განაცხადა, რომ ის თანაგუნდელებთან ერთად კვლავ იბრძოლებს ოქროს მედლებისათვის.**

**— „ნიუკასლი“ თავის სიტყვას კიდევ იტყვის“ — ამბობს შირერი.**

*სურათზე: ალან შირერი*

## ესპანურ „რასინგს“ უკრაინელი მილიონერი ყიდულობს?

უკრაინელი მილიონერი დმიტრი პიტერმანი მზად არის, შეისყიდოს ესპანური საფეხბურთო კლუბის „რასინგის“ საკონტროლო პაკეტი. საინტერესოა, რომ პიტერმანი უკვე ფლობს ერთ ესპანურ კლუბს — „პალამოსს“. უკრაინელი მზად არის 3,5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელოს ბათუმში.

## ახალკაცი მოსკოვის „სპარტაკში“ ისინჯება

ქუთაისის „ტორპედოს“ ნახევარმცველი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი რომან ახალკაცი მოსკოვის „სპარტაკში“ ვარჯიშობს. მოსკოვური გუნდის ხელმძღვანელობასთან ახალგაზრდა ფეხბურთელს რეკომენდაცია ვლადიმერ გუცაევმა გაუწია. ახალკაცმა უკვე ჩაატარა ერთი მატჩი „სპარტაკის“ შემადგენლობაში „ალანიას“ წინააღმდეგ. ახალკაცის რუსულ გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი უახლოეს ხანში გაირკვევა.

# ნბა

## სტეფანიას ტრიუმფი



სტეფანია „ბოსტონის“ ფარქვეშ

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში ნიკა ცქიტიშვილის „დენვერი“ „ლეიკერსს“ მასპინძლობდა. გაიმარჯვეს სტუმრებმა 112:93, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა კობი ბრაიანტს, რომელმაც „ლეიკერსს“ 39 ქულა შესძინა. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო ჰოვარდი — 20 ქულა. რაც შეეხება ცქიტიშვილის, ეს უკანასკნელი 30 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა მოედანზე: თავის გუნდს 12 ქულა შესძინა და 3-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

საკმაოდ შედეგიანად ითამაშა ვლადიმერ სტეფანიამ, რომლის „მაიამმა“ „ბოსტონი“ დაამარცხა 90:70. ქართველმა ლეგიონერმა 14 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა. ასე თუ გააგრძელა...

***სხვა მატჩები:*** „კლიპერსი“ — „გოლდენ სტეიტი“ 92:99, „იუტა“ — „ფილადელფია“ 98:69, „საკრამენტო“ — „პორტლენდი“ 113:119, „მილუოკი“ — „ნიუ ჯერსი“ 96:104, „ჩიკაგო“ — „სან ანტონიო“ 95:109, „დალასი“ — „ნიუ იორკი“ 107:82, „დეტროიტი“ — „მინესოტა“ 106:82, „ვაშინგტონი“ — „ატლანტა“ 84:76, „ინდიანა“ — „ნიუ ორლეანი“ 91:84, „ორლანდო“ — „ბოსტონი“ 101:95.

## მსოფლიო ჩემპიონატი... დომინოში

**მომავალი წლის 3-9 მარტს, ჰავანაში გაიმართება მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი... დომინოში. ყველაზე მეტი წარმომადგენლობა ჩემპიონატზე ესპანელებსა და პუერტორიკოელებს ეყოლებათ, ხოლო ჩვენი მეზობელი რუსეთი მხოლოდ ერთი დუეტით წარსდგება.**

## კასპაროვს უჩივიან...

*ისრაელის ბანკმა „ფერსტ ინტერნაციონალმა“ მოჭადრაკე გარი კასპაროვი დაადანაშაულა კრედიტის დაუბრუნებლობაში. ეს კრედიტი შეადგენს 1,6 მილიონ დოლარს. ბანკის ხელმძღვანელობამ სასამართლოში უჩივლა კასპაროვს. როგორც ირკვევა, ბანკსა და კასპაროვს შორის 2000 წელს დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოჭადრაკეს მისცეს აღნიშნული კრედიტი, რის საპასუხოდ კასპაროვს ბანკისთვის უნდა გადაეცა კომპანია „კასპაროვ ჩეზ ონლაინის“ აქციები. ეს კომპანია წარმოადგენდა ინტერნეტ საიტს, რომელიც კასპაროვმა ამ ცოტა ხნის წინ დახურა და ისრაელის ბანკს კრედიტის დაბრუნებაზე უარი განუცხადა. ახლა ბანკი, სასამართლოს გზით შეეცდება საიტის ამუშავებას.*

## გერმანიაში ტაისონს ელიან

ძმები კლიჩკოების პრომოუტერი აპირებს გერმანიაში მოიწვიოს სკანდალებით სახელგანთქმული მოკრივე მაიკ ტაისონი და დაუპირისპიროს იგი კლიჩკოთაგან რომელიმეს. პრომოუტერ კლაუს პეტერ კოლის თქმით, თუ ვიტალი კლიჩკო მომავალი წლის აპრილში შეძლებს ლენოქს ლიუისის დამარცხებას, მისი მომდევნო მეტოქე „რკინის მაიკი“ იქნება. ხოლო თუ ვიტალი დამარცხდება, მაშინ ტაისონის წინაშე ვლადიმერ კლიჩკო წარსდგება.

## ზაქრო თელია



სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა თაობებს ახსოვთ მისი მადლი. როგორც მაღალპროფესიონალი დასტაქარი, შეუდარებელი იყო სპორტულ მედიცინაში. შეუცდომელი იყო დიაგნოზის დასმაში, ეფექტურ მკურნალობაში, აღდგენითი პროცესის დაჩქარებაში, მისგან სწავლობდნენ, ენდობოდნენ. 50-იანი წლებიდან მოყოლებული მას და მხოლოდ მას ანდობდნენ თავიანთ ჯანმრთელობას და ტრავმისშემდგომ სპორტულ ბედს ჩვენი ქვეყნის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელები, კალათბურთელები თუ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

მკურნალს რომ სახელი გაუვარდება, მეტი ბედნიერება რა უნდა იყოს, ზაქრო თელია უპოპულარესი ექიმი გახდა და არა მხოლოდ სპორტულ სამყაროში. პიროვნებაც მომხიბლავი იყო, ბუნებით ძალიან თავისებური — რბილი, თბილი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე. მაგრამ, როცა საჭირო იყო — პრინციპულზე პრინციპული, განსაკუთრებით თუ საქმე მის პროფესიას და სპორტსმენთა მკურნალობას ეხებოდა, ბიუროკრატიას, ხელოვნურად შექმნილ პრობლემებს ებრძოდა თავგამოდებით, მას ჰქონდა ამის უფლება, რადგან სჯეროდა საკუთარი შესაძლებლობების. თუმცა ხაზგასმით არ ამჟღავნებდა, იცოდა თავის თავისა და სპეციალობის ფასი. ამასთან, მისი სჯეროდა ყველას. იტყოდა და მის სიტყვასაც ისეთი წონა ჰქონდა, ვერავინ შეძლებდა შეკამათებას.

პიროვნული ღირსებები ალბათ ისე არავის ამკობს, როგორც დასტაქარს და ალბათ დასტაქრებში ისე არავის ამშვენებდა და ამაღლებდა ხალხის თვალში, როგორც პროფესორ ზაქრო თელიას.

2002 წელი ქართული სპორტული სამყაროსთვის ძვირფასი ადამიანების დაკარგვით დამძიმებული წელიწადი იყო. ზაქრო თელია კი თავის მეოთხმოცე გაზაფხულს ვეღარ მოესწრო. იუბილარს, ცხადია, ჩვენი საზოგადოებრიობა ღირსეულ პატივს მიაგებდა. ახლა კი ისღა დაგვრჩენია, ხსოვნით დავაფასოთ მისი უდიდესი დამსახურება ქართული სპორტის წინაშე.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,
„ლელოს“ რედაქცია.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




31 დეკემბერი, სამშაბათი. 2002 წ.

***НТВ плюс футбол.*** „ფეხბურთის არდადეგების დღეებში“: ესპანეთის ჩემპიონატი. „მალაგა“ – „ვალენსია“ (13.15), გერმანიის ჩემპიონატი. „ვერდერი“ – „ბაიერი“ (15.00), იტალიის ჩემპიონატი. „ინტერი“ – „იუვენტუსი“ (17.15), ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა (19.20), „ფუტბოლ მუნდიალი“ (16.45), ჩემპიონთა ლიგა, ფინალი-2002. „ბაიერი“ – „რეალი“ (21.45). ინგლისის ჩემპიონატი (23.45). ***НТВ плюс спорт.*** სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ლათინოამერიკული პროგრამა (2.30), ***EUROSPORT***. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის ლეგენდები. არგენტინა (11.30, 12.30), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.30, 14.30, 19.00, 20.00), ჩოგბურთი. „დიდი მუზარადის“ ტურნირის სერიიდან. ავსტრალიის ღია პირველობა. ლეგენდები (16.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. UEFA (22.00), ფიგურული ციგურაობა. საჩვენებელი გამოსვლები. გერმანიიდან (1.00), საბრძოლო ხელოვნება (5.00).

2003 წ. 1 იანვარი, ოთხშაბათი

***НТВ плюс футбол.*** ფიფას გალა წარმოდგენა. 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელი (15.00), „ფეხბურთის არდადეგების დღეებში“. ესპანეთის ჩემპიონატი. „ბარსელონა“ – „რეალი“ (16.30), „ფუტბოლ მუნდიალი“ (18.10), ინგლისის ჩემპიონატი. „არსენალი“ – „ჩელსი“ (18.55), ლიბერტადორესის თასის 2002-ის I-ლი ფინალური მატჩი. პარაგვაის „ოლიმპია“ – ბრაზილიის „სან-კაეტანო“ (21.35), ინგლისის ჩემპიონატი „ნიუკასლი“ – „ლივერპული“ (23.40), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. დევისის თასის ფინალი. პირველი შეხვედრა. მარატ საფინი /ევგენი კაფელნიკოვი – ნიკოლ ესკუდე/ ფაბრის სანტორო (14.30), ფიგურული ციგურაობა. სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადა. ვაჟები. საჩვენებელი პროგრამა. განვლილი წლის საჩვენებელი ტრანსლაცია (8.50), ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (22.20), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (0.00). ***EUROSPORT***. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი. (11.30, 12.30, 13.30, 15.30, 20.00), ჩოგბურთი. „დიდი მუზარადის“ სერიის ტურნირი. ავსტრალიის ღია პირველობა (16.30), ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატების კლასიკა (19.00), ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. უეფა (21.30, 22.30), საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი. ბელგიიდან (0.30).

2 იანვარი, ხუთშაბათი

***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი: „არსენალი“ – „ჩელსი“ (13.15), „ნიუკასლი“ – „ლივერპული“ (15.30), „ფეხბურთის არდადეგების დღეებში“. გერმანიის ჩემპიონატი „ვერდერი“ – „ბაიერი“ (17.15), იტალიის ჩემპიონატი. „ატლანტა“ – „მილანი“ (19.25), ლიბერტადორესის თასის 2002-ის ფინალი. საპასუხო მატჩი. პარაგვაის „ოლიმპია“ – ბრაზილიის „სან-კაეტანო“ (21.10), „ფუტბოლ მუნდიალი“ (23.10), ფეხბურთის არდადეგების დღეებში“. ჩემპიონთა ლიგა. „დეპორტივო“ – „მილანი“ (23.55). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. დევისის თასის ფინალი, მარატ საფინი – სებასტიან გროჟანი. განვლილი წლის სამახსოვრო ტრანსლაცია (15.30), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (22.40, 1.55), სპორტული ცეკვები. „მასტერ გალას“ ტურნირი. გერმანიიდან (23.55). ***EUROSPORT.*** საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი (12.30), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.30, 15.30, 16.00, 19.00), ჩოგბურთი. „დიდი შლემის“ სატურნირო სერია. ავსტრალიის ღია პირველობა (16.30, 19.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების კლასიკა (23.30, 0.30). კრივი (2.15).

3 იანვარი, პარასკევი

***НТВ плюс футбол.*** „ფეხბურთის არდადეგების დღეებში“: ჩემპიონთა ლიგა. „დეპორტივო“ – „მილანი“ (13.20), „ფუტბოლ მუნდიალი“ (15.05), იტალიის ჩემპიონატი. „ლაციო“ – „რომა“ (15.35), ესპანეთის ჩემპიონატი. „რეალ სოსიედადი“ – „ბარსელონა“ (17.20), გერმანიის ჩემპიონატი. „ბაიერი“ – „ბავარია“ (19.20), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.00), საკონტინენტთაშორისო თასი. 2002-ის ფინალი. „რეალი“ – პარაგვაის „ოლიმპია“ (22.30), ჩემპიონთა ლიგა. „ბრიუგე“ – რუსეთის „ლოკომოტივი“ (0.45). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (11.45, 23.50), ჩოგბურთი. დევისის თასის“ ფინალი. მიხაელ იუჟნი – პოლ ანრი მატიე. განვლილი წლის სამახსოვრო ტრანსლაცია. (14.00), ციგურებით სწრაფრბენის სპორტი. ევროპის ჩემპიონატი, ვაჟები. ქალები (18.55), ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ნახევარფინალი (23.50), ***EUROSPORT***. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.00, 13.00, 14.30, 20.00, 21.30, 23.00), ჩოგბურთი. „დიდი მუზარადის“ სერიის ტურნირი (16.30).

4 იანვარი, შაბათი

***НТВ плюс футбол.*** „ფეხბურთის არდადაგების დღეებში“: გერმანიის ჩემპიონატი. „ბაიერი“ – „ბავარია“ (13.15), ჩემპიონთა ლიგა. „ბრიუგე“ – რუსეთის „ლოკომოტივი“ (15.30), საკონტინენტთაშორისო თასი. 2002-ს ფინალები. „რეალი“ – პარაგვაის „ოლიმპია“ (17.15), იტალიის ჩემპიონატი „იუვენტუსი“ – „მილანი“ (19.20), „ფუტბოლ მუნდიალი“ (21.00), ჩემპიონთა ლიგა. „ბაიერი“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (21.30), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.35), ესპანეთის ჩემპიონატი (0.25), ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (9.00), ტაილანდური კრივი (12.40), ციგურებით სწრაფრბენა. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ქალები (14.55), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (23.30). ***EUROSPORT***. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.00, 13.15, 14.15, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00). ციგურებით სწრაფრბენა. ევროპის ჩემპიონატი (21.30).

5 იანვარი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.* „მსოფლიო ფეხბურთი“ (19.35), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.15, 19.55), „ფეხბურთის არდადეგების დღეებში“: იტალიის ჩემპიონატი „იუვენტუსი“ – „მილანი“ (15.00), ჩემპიონთა ლიგა. „ბაიერი“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (17.15), გერმანიის ჩემპიონატი. „ბაიერი“ – „ბავარია“ (21.50), ჩემპიონთა ლიგა. პსჟ – „არსენალი“ (23.35). ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.40, 22.20), ციგურებით სწრაფრბენა. ევროპის ჩემპიონატი (14.55), ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (23.50), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი ლათინურამერიკული პროგრამით (2.15). ***EUROSPORT***. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 13.15, 14.15, 15.45, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 22.30, 2.15). საციგაო სპორტი. ევროპის ჩემპიონატი (19.00), ციგურებით სწრაფრბენა. ევროპის ჩემპიონატი. ნიდერლანდებიდან (21.30), პროფესიული კრივი (23.30).

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 79 წლისა უეცრად გარდაიცვალა სპორტული მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწე, პროფესორი
ზაქრო თელია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი დიდ მწუხარებას გამოხატავს ამავე ცენტრის ყოფილი მთავარი ექიმის
ზაქრო თელიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე აკადემიის სპორტული მედიცინის კათედრის პროფესორის
ზაქრო თელიას
გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის მერიის განათლების განყოფილება, დაწყებითი სამხედრო სწავლებისა და ფიზიკური აღზრდის სექტორი, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები და მათი ხელმძღვანელები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი დასტაქრის, ამავე ცენტრის ყოფილი მთავარი ექიმის პროფესორ
ზაქრო თელიას
გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.



მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი, მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული, უბრწყინვალესი პიროვნება და სანიმუშო მეგობარი
ლერი ნაკანი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 2, 3. I. 16 სთ; დაკრძალვა 4.I, 14 სთ. მისამართი ნუცუბიძის პლატო IV მ/რ I კორპუსთან.



## კროსვორდი № 102

თარაზულად: 1. წყალმხტომელთა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, 9. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 10. ძალოსნობაში ორჭიდის სახეობა, 12. ესპანეთის მხარე, რომლის დედაქალაქში ჩატარდა 1992 წლის ოლიმპიური თამაშები, 14 სამაგიდო თამაში, 16. ინგლისელი ფეხბურთელი ლე... 17. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 19. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 21 ფეხბურთელ იაშვილის მეტსახელი, 22. პროფესიონალი მოკრივე, 23. შედეგი სპორტში, 24. ტანვარჯიშული იარაღი, 27. გამარჯვების ქალღმერთი, 28. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 29. „ლივერპულის“ მწვრთნელი.

შვეულად: 2. ესპანეთის ფეხბურთელი — მეკარე, 3. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 4. ქართული ფეხბურთის პატრიარქის ჟორდანიას სახელი, 5. ცურვის ყაიდა, ანუ... 6. ინგლისელი ფეხბურთელი, 7. საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, 8. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში, 11. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი — 1964 წელს, 13. ფრანგი ფეხბურთელი, ამჟამად „ფულემის“ მწვრთნელი, 15. ვეტერანი თურქი მოჭიდავე, 16. ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელი ქალი, 18. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, ამჟამად მეორე სახელიც დაემატა, 20. შტანგის... 24. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 25. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 26. ბრაზილიის ვეტერანი ფეხბურთელი.

**კროსვორდი №101-ის პასუხები:**

თარაზულად: 1. ტალკი, 4. ფიფა, 7. ეტაპი, 8. მაჩაიძე, 11. ლიგა, 14. კალანდაძე, 15. პონი, 19. „ოდრა“, 21. „ნიუკასლი“, 22. ტრავმა. შვეულად: 2. ალამი, 3. კრამნიკი, 4. ფრე, 5. „აეკი“, 6. გაგნიძე, 9. ელინი, 10. თასი, 12. დოპინგი, 13. ბაიდარა, 16. „ნაუკა“, 17. კანი, 18. ულიე, 20. „არაუ“.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი (სოფ. კარდენახი), 1981 წ.




შამათი 2 სვლაში

წინა ნომრის ამოცანის ამოხსნა:
1. მf5! 1. ...ე:f5 2. ეc8X. 1. ... კ:f5 2. ეd5X. 1. ... კg2 2. კg1X. 1. ... კd6 2. კ:d6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com